



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა
პოლიტიკური მეცნიერებები

ქუთაისი

2011

1. პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკური მეცნიერებები (minor)

2. მაინორის პროგრამის ხელმძღვანელი:

მსოფლიო ისტორიის და პოლიტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ოთარ ჭუმბურიძე**;

პოლიტიკური მეცნიერების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ავთანდილ ბუცხრიკიძე**;

3. მაინორის პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია პოლიტიკურ მეცნიერებებში ბაკალავრიატის სტუდენტებს მისცეს პოლიტიკური ანალიზისა და სოციალური მოვლენების კრიტიკული და ობიექტური შეფასების შესაძლებლობა. მაინორის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესწავლის საფუძველზე სტუდენტებს შეეძლებათ პოლიტიკური პროცესის ანალიზის, პროგნოზირების, კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკური მოქმედებების ფორმების შერჩევის შესაძლებლობა.

მაინორის პროგრამის ცალკეული კურსები ბაკალავრიატის დონეზე სტუდენტებს მისცემს გაცილებით ფართო და ამავე დროს სპეციფიკურ ცოდნას პოლიტიკური მეცნიერების ცალკეულ მიმართულებებში.

პროგრამის სასწავლო დისციპლინები ისეა შედგენილი, რომ სტუდენტებმა ზოგად თეორიულ-პოლიტიკური ცოდნის მიღებასთან ერთად შეისწავლონ ზოგადსაკაცობრიო და ქართული პოლიტიკური აზრი და მათი თანაფარდობის საფუძველზე შეძლონ ეროვნულ-პოლიტიკური სიტუაციის გააზრება და მიღებული ცოდნის გამოყენება იმ ამოცნების გადასაჭრელად, რომელიც ამჟამად დგას ქართული პოლიტიკური კულტურისა და საერთოდ ქართული სახელმწიფოს წინაშე.

ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ყურადღება მიექცევა სტუდენტებში პოლიტიკური ღირებულებითი ორიენტაციისა და პრიორიტეტების რაციონალურად გააზრების უნარის გამომუშავებას, ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაციის პირობებში პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების ეფექტური ფორმების გამოყენების შესწავლას.

მაინორის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესწავლა სტუდენტებს საშუალებას მისცემს არსებული პოლიტიკური სინამდვილის სიღრმისეულად, წარსულის მემკვიდრეობაზე დაყრდნობით გაიაზრონ და

განსაზღვრონ საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანები, რომლებიც ამჟამად დგას ქართული სახელმწიფოს წინაშე.

4. მაინორის პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს I კურსი სოციალური ან ჰუმანიტარული სპეციალობით;

5. დასაქმების სფერო

მაინორის პროგრამით კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება ჩაერთოს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმუშაოს როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორში;

6. მაინორის პროგრამის შედეგები

კურსდამთავრებული ძირითად სპეციალობასთან ერთად მიიღებს გარკვეულ ცოდნას პოლიტიკურ მეცნიერებებში, შეეძლება პოლიტიკური პროცესებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების შედარებითი ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს განსაზღვროს კონკრეტულ სიტუაციებში პოლიტიკური პრიორიტეტები და ღირებულებითი ორიენტაციები.

პროგრამის სტრუქტურა

| № | კურსი | სკ | ლ/პ/ს/ლაბ | კრედიტთა რაოდენობა | სემესტრები | | | | | |
|----|---|----|-----------|--------------------|------------|----|----|----|-----|------|
| | | | | | III | IV | V | VI | VII | VIII |
| 1 | პოლიტიკური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები | 3 | 2.1.0.0 | 5 | 5 | | | | | |
| 2 | პოლიტიკური იდეოლოგიები | 3 | 2.1.0.0 | 5 | 5 | | | | | |
| 3 | ელიტიზმის კლასიკური თეორიები და ლიდერობა | 3 | 2.1.0.0 | 5 | | 5 | | | | |
| 4 | კონფლიქტები და მათი ტიპოლოგია | 3 | 2.1.0.0 | 5 | | | 5 | | | |
| 5 | გეოპოლიტიკური თეორიები და კონცეფციები | 3 | 2.1.0.0 | 5 | | 5 | | | | |
| 6 | პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები | 3 | 2.1.0.0 | 5 | | | 5 | | | |
| 7 | ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია | 3 | 2.1.0.0 | 5 | | | | 5 | | |
| 8 | საზოგადოების პოლიტიკური კულტურა | 3 | 2.1.0.0 | 5 | | | | | 5 | |
| 9 | სოციალიზმის თეორია და ისტორია | 3 | 2.1.0.0 | 5 | | | | 5 | | |
| 10 | სახელმწიფოს მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა | 3 | 2.1.0.0 | 5 | | | | | 5 | |
| 11 | ევროპული ინტეგრაცია | 3 | 2.1.0.0 | 5 | | | | | | 5 |
| 12 | თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემების პოლიტიკური ასპექტები | 3 | 2.1.0.0 | 5 | | | | | | 5 |
| 13 | სულ | | | 60 | | 10 | 10 | 10 | 10 | 10 |

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ.-საათი კვირაში; ლ/პ/ს/ლაბ-
 ლექცია/პრაქტიკული/ სემინარი/ლაბორატორიული

ანოტაციები

პოლიტიკური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები (5 კრედიტი)

პოლიტიკური აზროვნების განვითარების კვალობაზე პოლიტიკური შეხედულებანი სულ უფრო იხვეწებოდა და მოძღვრებით ხასიათს იძენდა. კურსში განხილული და შესწავლილი იქნება პოლიტიკური შეხედულებანი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ანტიკურ სამყაროში შუა საუკუნეებში, ახალ და უახლეს პერიოდში, რათა თანამედროვე ეპოქაში კაცობრიობის წინაშე არსებული პოლიტიკური სინამდვილის სიღრმისეულად, წარსულის მდიდარ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, გააზრებული იქნას საზოგადოების წინაშე მდგომი პოლიტიკური პრობლემები და ამოცანები.

კურსის შესწავლის წინაპირობა. ბაკალავრიატის პირველ კურსზე მიღებული ცოდნა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

პოლიტიკური იდეოლოგიები. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლიბერალიზმის წარმოშობა და განვითარება. ლიბერალური სახელმწიფო, ლიბერალიზმი, მმართველობათა დემოკრატია, კლასიკური ლიბერალიზმი, თანამედროვე ლიბერალიზმი და ლიბერალიზმი 21-ე საუკუნეში. კონსერვატიზმის წარმოშობა და განვითარება, ავტორიტარული კონსერვატიზმი; პატერნალისტური კონსერვატიზმი, კონსერვატიზმი 21-ე საუკუნეში. ანარქიზმის წარმოშობა და განვითარება; კოლექტივისტური ანარქიზმი, ინდივიდუალისტური ანარქიზმი, ანარქიზმი 21-ე საუკუნეში. ფაშიზმის წარმოშობა და განვითარება, ფაშიზმი და სახელმწიფო. ნაცისტური, რასობრივი თეორიები და ფაშიზმი 21-ე საუკუნეში.

კურსის შესწავლის წინაპირობა: ბაკალავრიატის პირველი კურსზე მიღებული ცოდნა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

ელიტიზმის კლასიკური თეორიები და ლიდერობა (5 კრედიტი)

კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს პოლიტიკური ელიტის კლასიკური თეორიები და ნიშნები. სადაც განიხილება გაეტანო მოსკას, რობერტ მიხელსის, ვილფრედო პარეტოს, ჯეიმს ბერნემის და სხვათა კონცეფციები და მეცნიერული პარადიგმები.

ასევე მისცემთ მათ ცოდნას პოლიტიკური ლიდერობის ცნებისა და მისი წარმოშობის კონცეფციებთან დაკავშირებით. ლიდერის ტიპოლოგიას, სტილისა და ფუნქციების შესახებ განხილული იქნება პოლიტიკური ელიტა და ლიდერობა გარდამავალ პერიოდში და ელიტის რეკრუტირების თავისებურებები საქართველოში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: წინა სემესტრში მიღებული ცოდნა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

პოლიტიკური კონფლიქტები და მათი ტიპოლოგია (5 კრედიტი)

კაცობრიობისათვის XXI საუკუნე სასტიკი კონფლიქტების ფონზე დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ახალი წესრიგი თითქოს მშვიდობისა და თანხმობის სახით უნდა წარმართულიყო, სახეზე გვაქვს ეთნიკური და სხვა სახის დაპირისპირების უამრავი მაგალითი. ტოტალური რეჟიმების რღვევა მტკივნეული აღმოჩნდა. კურსში განხილული იქნება ჩვენს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების წარმოშობის საშინაო და საგარეო ფაქტორები, მისი მოგვარების გზები, ვთვლით, რომ კურსის შესწავლა საჭიროა არა მარტო თეორიული კუთხით, არამედ ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან გამომდინარე პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: წინა სემესტრში მიღებული ცოდნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში.

გეოპოლიტიკური თეორიები და კონცეფციები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები; პოლიტიკური ინსტიტუტები და მათი განვითარების დინამიკა; გეოპოლიტიკის პრობლემების მართვის ინსტიტუტებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი; თანამედროვე გეოპოლიტიკური პრობლემები და ევროპა, ერთიანი ევროპის იდეა და თანამედროვე გეოპოლიტიკური თეორიები; საქართველოს პოლიტიკური პრიორიტეტები თანამედროვე გეოპოლიტიკურ სივრცეში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: წინა სემესტრში მიღებული ცოდნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში.

ქართული პოლიტიკური აზროვნება (5 კრედიტი)

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფეოდალური და ადრეფეოდალური ხანის, განვითარებული ფეოდალიზმის, ახალი და უახლესი ხანის ქართული პოლიტიკური აზროვნება.

საგნის შესწავლა ხელს შეუწყობს სტუდენტ-ახალგაზრდობაში პოლიტიკური კულტურის ამაღლებასა და იმ პრობლემების წარმატებულად გადაჭრას, რომლებიც ჩვენს ტრანსფორმირებად საზოგადოებაში აქტუალურია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: წინა სემესტრში მიღებული ცოდნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში.

საზოგადოების პოლიტიკური კულტურა (5 კრედიტი)

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტიკური კულტურის თეორიები; პოლიტიკური კულტურის არსი და სტრუქტურა; დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ფორმირების პარადიგმები საქართველოში.

პოლიტიკური კულტურის ფუნქციები, პოლიტიკური კულტურის ტიპები და პოლიტიკური სუბკულტურები. პოლიტიკური კულტურის ფორმირების მექანიზმები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: წინა სემესტრში მიღებული ცოდნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში.

ევროპული ინტეგრაცია (5 კრედიტი)

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ევროპა ისტორიული განვითარების კონტექსტში, ქრისტიანობის, რენესანსის და ბურჟუაზიული რევოლუციის ინტეგრაციული ასპექტები, პირველი და მეორე მსოფლიო ომის გავლენა ინტეგრაციაზე, ევროსაბჭო და ევროინტეგრაცია, ევროპის უშიშროების საბჭო და ევროინტეგრაცია, ნატო და ევროინტეგრაცია, გლობალიზაცია და ევროინტეგრაცია, საქართველო და ევროინტეგრაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: წინა სემესტრში მიღებული ცოდნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში.

**თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემების
პოლიტიკური ასპექტები (5 კრედიტი)**

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გლობალიზაციის ცნება, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარების გლობალიზაცია, ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები, ომისა და მშვიდობის საკითხები, დემოკრატიული პრობლემა, რელიგია და გლობალური პრობლემები, კულტურა და გლობალური პრობლემები. აღნიშნული საგნის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რადგან გლობალიზაცია განსაკუთრებით მტკივნეულია პატარა ქვეყნისათვის.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: წინა სემესტრში მიღებული ცოდნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში

სოციალიზმის თეორია და ისტორია (5 კრედიტი)

სასწავლო კურსში სტუდენტები გაეცნობიან სოციალიზმის წარმოშობის, განვითარების და კრახის მიზეზებს, სასწავლო კურსში განხილული იქნება ფრანგი უტოპისტების, სოციალიზმის თეორიკოსების, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების და მარქსიზმის ფუძემდებლების შეხედულებანი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თავისებურებები. შეფასებული იქნება სოციალიზმის დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებები, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დაპირისპირება, სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის თეორია, სოციალიზმის სახეები-შვედური სოციალიზმი, ჩინური სოციალიზმი.

პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური სისტემები (5 კრედიტი)

სასწავლო კურსის შესწავლა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის პოლიტიკური კულტურის ამაღლებას. პოლიტიკური პარტიები არის სტრუქტურული ტიპი, რომელიც ასრულებს გამაერთიანებელ ფუნქციას. საზოგადოებაში ასეთი სტრუქტურების ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, რა ზომით იცავს ხელისუფლება პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს და რამდენად მგრძობიარეა ხალხის მოთხოვნების მიმართ. პოლიტიკური პარტიები ყველა ლიბერალური დემოკრატიის აუცილებელი ნაწილი გახდა. ამიტომ სტუდენტები უნდა იცნობდნენ პოლიტიკური პარტიების წარმოშობის, ფორმირებისა და ინსტიტუციონალიზაციის თავისებურებებს, თუ

რით განსხვავდებიან ერთპარტიული, ორპარტიული, მრავალპარტიული სისტემები და სისტემები დომინირებული პარტიით.

სახელმწიფოს მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა (5კრედიტი)

სასწავლო კურსი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი, სახელმწიფოს არსი, ძირითადი ნიშნები და ფუნქციები, თანამედროვე სახელმწიფოს ტიპები და ფორმები, სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო, სახელმწიფო მმართველობა და მისი კონსტიტუციური საფუძვლები, ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები და სისტემები. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური რეგლამენტაცია საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კანონმდებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები.